მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

„ფასდაკლების კვირეულში“ მონაწილეობის შესახებ

შესავალი:

ფასდაკლების კვირეული წარმოადგენს ღონისძიებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა რეგიონში შიდა და საერთაშორისო ტურისტებისათვის, სასტუმროს მომსახურების ფასდაკლებით სარგებლობას. იგი მიზნად ისახავს არასეზონურ პერიოდში რეგიონის პოპულარიზაციასა და შიდა ტურიზმის წახალისებას, ასევე, პროექტი ხელს შეუწყობს ტურისტულ ობიექტებს ვიზიტორების მოზიდვაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის („ადმინისტრაცია“) ინიციატივით, ტურისტული ადგილებისა და ტურისტული პროდუქტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პირველად საქართველოში, იგეგმება ფესტივალი ფასდაკლებების კვირეულის („პროექტი“) ორგანიზება. ინტერესთა გამოხატვა ცხადდება კახეთის რეგიონში 20 ან მეტი ნომრის მქონე სასტუმროების („სასტუმრო“) შერჩევის მიზნით რომლებიც 2017 წლის 13-27 თებერვალს შიდა და საერთაშორისო ტურისტებს მისცემენ საშუალებას ისარგებლონ საერთაშორისო რეზერვაციების პორტალებზე გამოცხადებული ფასიდან[1] 25% ან/და მეტი ფასდაკლებით.

ადმინისტრაცია იწვევს კახეთის რეგიონში მდებარე როგორც ადგილობრივ ასევე, საერთაშორისო ბრენდის მქონე სასტუმროებს („კანდიდატები“), რათა გამოხატონ დაინტერესება („ინტერესის გამოხატვა”) პროექტში მათი თანამონაწილეობის შესახებ.

2. პროექტში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობები

2.1„პროექტის“ ძირითადი მოთხოვნებია

2.1.1 პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კახეთის რეგიონში მდებარე სასტუმროებს რომლებსაც გააჩნიათ 20 ან მეტი ოთახი.

2.1.2 სტუმარს უნდა შეეძლოს მიმდინარე სეზონზე საერთაშორისო რეზერვაციების პორტალებზე გამოცხადებული ფასიდან 25% ან/და მეტი ფასდაკლებით სარგებლობის საშუალება.

---

[1] **რეზერვაციების საერთაშორისო ონლაინ პორტალები რომლის ვიზიტორთა რაოდენობა აღემატება 8 მილიონს.*
http://wistero.com/most-popular-websites-by-category/top-20-most-popular-online-hotel-booking-sites/

3. „ადმინისტრაციის“ განზრახულობანი:

- „ადმინისტრაცია“ უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში მონაწილე „კანდიდატებისათვის“ ინტერნეტ რეკლამასა და სატელევიზო გაშუქებას.
- „პროექტის“ შესახებ ინფორმაცია გავრცელდება საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით, ასევე, ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე განთავსდება www.discounts.georgia.travel სასტუმროს ლოგო, ვებ გვერდი და ფასდაკლების მოცულობის შესახებ ინფორმაცია.
- „პროექტის“ შესახებ ინფორმაციის გავრცელება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში რეგისტრირებულ ტურისტულ კომპანიებთან.
- „პროექტის“ პოპულარიზაციისათვის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს კახეთის რეგიონში ჟურნალისტებისათვის პრეს-ტურის ორგანიზებას.
- პროექტში ჩართულ ყველა გამარჯვებულ „კანდიდატსა“ და ადმინისტრაციას შორის გაფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ადმინისტრაცია არ ჩაერევა გამარჯვებულ „კანდიდატსა“ და მომხარებელს შორის არსებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში.

4. ინტერესთა გამოხატვის პროცედურები:

4,1. წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნები:

კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ ქვემოთ მოცემულ წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნებს („წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნები“):

ა) წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია და სათანადო დოკუმენტაცია, როგორც ინტერესის გამოხატვის შემადგენელი ნაწილი:

1. საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
2. საფოსტო მისამართი, საკონტაქტო პირები და საკონტაქტო მონაცემები;
3. სამეწარმეო რეესტრიდან/სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (და საწარმოს დაფუძნების ან/და სახელწოდების ცვლილების შესახებ არსებული დოკუმენტი);
4. შემოთავაზება წარმოდგენილ უნდა იყოს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტზე მიმაგრებული დოკუმენტის შესაბამისად (შევსებული სახით)

მხოლოდ იმ კანდიდატთა წინადადებები იქნება განხილული, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

„პროექტში“ავტომატურად ჩაერთვება ყველა სასტუმრო, რომელიც წარმოადგნეს ამ მულხის 4.1 პუნქტით დადგენილ წინასაკავლიფიკაციო მოთხოვნებს და დააკმაყოფილებს 2.1.1. და 2.1.2 პუნქტებში დადგენილ პირობებს.

ყველა ინტერესის გამოხატვა უნდა იყოს მომზადებული ქართულ ენაზე. სხვა ენაზე მომზადებულ ინტერესის გამოხატვას უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

5. ინტერესის გამოხატვის წარდგენა:

ინტერესის გამოხატვა წარდგენილი უნდა იქნეს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში („წარდგენის ვადა“) ადმინისტრაციის ცენტრალურ აპარატში ნაბეჭდი სახით შემდეგ მისამართზე: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია თბილისი, სანაპიროს ქ. N4 მე-5 სართული ან გამოგზავნილ უნდა იქნეს ელექტრონული სახით ქვემოთ მითითებულ ელ.ფოსტაზე: discounts@georgia.travel